

პაკანსიის № 75782

პოზიციის დასახელება	იურისტი (მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი)
კონკურსის ტიპი	ღია კონკურსი
ორგანიზაცია	სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი
კატეგორია	იურიდიული
განცხადების ბოლო ვადა	30.12.2022
თანამდებობრივი სარგო	2200 ლარი
ადგილების რაოდენობა	1
სამსახურის ადგილმდებარეობა	თბილისი
სამუშაოს ტიპი	სრული განაკვეთი
გამოსაცდელი ვადა	6 თვე

ფუნქციები

- ა) ამზადებს სწავლების ცენტრის დირექტორის ბრძანებების პროექტებს;
- ბ) უზრუნველყოფს საკადრო საკითხებზე, მათ შორის, თანამშრომელთა დანიშვნის, სამსახურიდან გათავისუფლების, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების, წახალისების, შვებულებისა და მივლინების შესახებ მომზადებული სწავლების ცენტრის დირექტორის ბრძანებების პროექტების სამართლებრივ ექსპერტიზასა და ვიზირებას;
- გ) ამზადებს ხელშეკრულებების პროექტებს;
- დ) უზრუნველყოფს მომზადებული ხელშეკრულებების პროექტების, მათ შორის, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებისა და შრომითი ხელშეკრულების პროექტების სამართლებრივ ექსპერტიზასა და ვიზირებას;
- ე) უზრუნველყოფს საქონლის, მომსახურების, სამუშაოს მიღება-ჩაბარებისა და ურთიერთშედარების აქტების პროექტების სამართლებრივ ექსპერტიზასა და ვიზირებას;
- ვ) უზრუნველყოფს შესაბამისი სამართლებრივ დასკვნების მომზადებას;
- ზ) ახორციელებს სწავლების ცენტრის თანამშრომლების მიერ მომზადებული დოკუმენტაციის, მათ შორის, სერტიფიკატის შეცვლის ან აღდგენის შესახებ შემოსულ განცხადებებთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნების სამართლებრივ ექსპერტიზასა და ვიზირებას;
- თ) უზრუნველყოფს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სასერტიფიკაციო გამოცდისთვის ტესტების მომზადებას ან/და სამართლებრივ ექსპერტიზასა და ვიზირებას;
- ი) კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს წერილების პროექტებს, ასევე საპასუხო წერილების პროექტებს სწავლების ცენტრში შემოსულ წერილებზე, განცხადებებსა და საჩივრებზე;
- კ) საჭიროებისამებრ, ახორციელებს სწავლების ცენტრის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას სასამართლოსა და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში;
- ლ) შეიმუშავებს წინადადებებს სწავლების ცენტრის საქმიანობის მარეგულირებელ აქტებში ცვლილებების შეტანის შესახებ;
- მ) საჭიროებისამებრ შეიმუშავებს წინადადებებს საარჩევნო კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით;
- ნ) სწავლების ცენტრის საქმიანობის გათვალისწინებით უზრუნველყოფს სამართლებრივ აქტებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ სწავლების ცენტრის თანამშრომლებისთვის ინფორმაციის მიწოდებას;
- ო) სამართლებრივ კონსულტაციას უწევს სწავლების ცენტრის თანამშრომლებს სწავლების ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- პ) მოთხოვნის შესაბამისად, მონაწილეობას იღებს სწავლების ცენტრის მიერ განსახორციელებელი სასწავლო პროგრამებისთვის სასწავლო მასალის შემუშავებასა და მათ იმპლემენტაციაში;
- ჟ) სწავლების ცენტრის ვებ-გვერდზე პროაქტიული გამოქვეყნების მიზნით, უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის მომზადებას, მათ შორის, სტატისტიკური მონაცემების დამუშავებას;
- რ) მოთხოვნის შესაბამისად, ამზადებს ანგარიშს განეული საქმიანობის შესახებ;
- ს) ასრულებს სწავლების ცენტრის დირექტორისა და სამსახურის უფროსის სხვა დავალებებს.

მოთხოვნები

მინიმალური განათლება	ბაკალავრი
სამუშაო გამოცდილება	2 წელი
პროფესია	სამართალმცოდნე

საკონკურსო თემატიკა

- ა) საქართველოს კონსტიტუცია;
- ბ) საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“;
- გ) საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;
- დ) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- ე) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი;
- ვ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
- ზ) საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;
- თ) საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;
- ი) საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- კ) საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“;
- ლ) საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 თებერვლის 07/2012 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დებულება“;
- მ) საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 9 მარტის 13/2012 დადგენილებით დამტკიცებული „საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების დებულება“.

საკონტაქტო ინფორმაცია

საკონკურსო კომისიის მისამართი ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 138.

საკონტაქტო ტელეფონები 595 90 64 94

დამატებითი მოთხოვნები

აუცილებელი მოთხოვნები:

- ა) მუშაობის არანაკლებ ორწლიანი გამოცდილება, მათ შორის, იურიდიული სპეციალობით მუშაობის არანაკლებ ერთწლიანი გამოცდილება;
 - ბ) ზეპირი კომუნიკაციისა და წერითი უნარები;
 - გ) ორგანიზატორული უნარ-ჩვევები;
 - დ) შემოქმედებითი და ანალიტიკური უნარები;
 - ე) სტრესულ სიტუაციებში მუშაობის უნარი;
 - ვ) დროის ეფექტიანად განაწილების უნარი;
 - ზ) საოფისე კომპიუტერული პროგრამების ცოდნა (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, Microsoft Office Outlook).
- სასურველი მოთხოვნები:
- ა) უმაღლესი იურიდიული განათლება – მაგისტრის ან კანონმდებლობის შესაბამისად, მაგისტრთან გათანაბრებული ხარისხი;
 - ბ) საარჩევნო ადმინისტრაციაში ან/და საარჩევნო სფეროში მუშაობის გამოცდილება;
 - გ) საჯარო დანესებულებაში მუშაობის გამოცდილება;
 - დ) ადვოკატის სერტიფიკატი სამოქალაქო ან საერთო სამართლის სპეციალიზაციით;
 - ე) საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიკატი;
 - ვ) ინგლისური ენის ცოდნა;
 - ზ) რუსული ენის ცოდნა.

დამატებითი ინფორმაცია

საკონკურსო პირობებში თანამდებობრივი სარგოს ოდენობა მითითებულია „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი საბაზო თანამდებობრივი სარგოს გათვალისწინებით.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა პირებმა, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს, კონკურსის გამოცხადების დღიდან 5 კალენდარული დღის ვადაში უნდა გაიარონ რეგისტრაცია და გამოაგზავნონ განცხადება საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებ-გვერდზე: <http://www.hr.gov.ge>

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა პირებმა განცხადების შევსების დროს უნდა ატვირთონ და გამოაგზავნონ შემდეგი დოკუმენტაცია:

- უმაღლესი განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- სამოტივაციო წერილი.

კონკურსის პირველ ეტაპზე განხორციელდება კანდიდატის განაცხადის ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა. ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში კანდიდატის განაცხადი მიჩნეული იქნება ძირითად ფორმალურ მოთხოვნებთან შესაბამისად.

კონკურსში მონაწილე კანდიდატთა შეფასების მიზნებისთვის მნიშვნელოვანია, რომ კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა პირებმა განაცხადების შევსების დროს ატვირთონ და გამოაგზავნონ კანდიდატების მიმართ დადგენილ სასურველ მოთხოვნებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

კონკურსის მეორე ეტაპზე განხორციელდება კანდიდატის პროფესიული ცოდნის, სამუშაო გამოცდილებისა და აუცილებელი უნარ-ჩვევების შემოწმება, ზეპირი დავალების მიცემისა და გასაუბრების საფუძველზე.

საკონკურსო კომისია გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს 5 კალენდარული დღის ვადაში საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის (<http://www.hr.gov.ge>) მეშვეობით აცნობებს ყოველ კანდიდატს მის მიმართ გამოტანილ გადაწყვეტილებას.

გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტად ითვლება სხდომის თავმჯდომარის ხმა.

საკონკურსო კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება განაცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვის ვადაში.

კონკურსის ეტაპები

განაცხადების გადარჩევა
ზეპირი დავალება
გასაუბრება

სავალდებულო ბლოკები

პირადი ინფორმაცია

სამუშაო გამოცდილება

ფაილის ატვირთვა სავალდებულოა

განათლება კვალიფიკაცია

ფაილის ატვირთვა სავალდებულოა

სამოტივაციო წერილი